ურთიერთთანამშრომლობის
მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

სსიპ- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტსა

და

ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“
(City Institute Georgia) -ს შორის

ბათუმი, 2021

წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი დადებულია

08 10 2021 ---------- 2021 წ.

ერთი მხრივ სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში- უნივერსიტეტი), წარმოდგენილი რექტორის, მაია ჭიჭილეიშვილის სახით და მეორე მხრივ, ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველო" (City Institute Georgia) (შემდგომში-„სითი ინსტიტუტი"), წარმოდგენილი დირექტორის, მამუკა სალუქვაძის სახით, ერთობლივად წოდებული როგორც „მხარეები", ცალ-ცალკე წოდებული როგორც „მხარე" ვმოქმედებთ რა ურთიერთპატივისცემის, კეთილსინდისიერებისა და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს (შემდგომში- „მემორანდუმი") შემდეგზე:

1. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს მხარეთა ურთიერთთანამშრომლობა უნივერსიტეტის შესაბამისი სპეციფიკაციისა და მიმართულებების სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და ამ ურთიერთთანამშრომლობის პირობების განსაზღვრა.

2. თანამშრომლობის პირობები

2.1. უნივერსიტეტი პროექტის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს „სითი ინსტიტუტთან" შეთანხმებით უნივერსიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური კადრებისა და სტუდენტების ჩართვას ყველა იმ სამუშაოში, რომელიც გამომდინარეობს მემორანდუმის მიზნიდან და არ ეწინააღმდეგება მას;

ბ) პროექტებზე ურთიერთთანამშრომლობის პროცესში, უზრუნველყოფს „სითი ინსტიტუტის" ექსპერტებს უნივერსიტეტში არსებული და მიმდინარე სამეცნიერო კვლევებითა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

2.2. „სითი ინსტიტუტი" პროექტის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს უნივერსიტეტს მიმდინარე პროექტების მსვლელობის შესახებ რეგულარული ინფორმაციით;

ბ) გაუწევს კოორდინაციას პროექტების განხორციელების მიმდინარეობისას ერთობლივი სამუშაო შეხვედრების ორგანიზებასა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას;

გ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულებების სტუდენტების ჩართულობას პროექტებით გათვალისწინებული შესაბამისი მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზში, აგრეთვე ყველა იმ ღონისძიებასა და შესასრულებელ სამუშაოში, რომელიც გამომდინარეობს პროექტებიდან და არ ეწინააღმდეგება მას.

3. **წინამდებარე მემორანდუმის ძალაში შესვლა**

მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

4. **დასკვნითი დებულებები**

4.1. მხარეებს შეუძლიათ ერთობლივი შეთანხმებით შეწყვიტონ წინამდებარე მემორანდუმის მოქმედება. მემორანდუმის მოქმედება შეიძლება ასევე შეწყვეტილ იქნეს ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის წინასწარ, 1 (ერთი) თვით ადრე მემორანდუმის ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

4.2. მემორანდუმში ყოველი ცვლილების შეტანა საჭიროებს მხარეთა წერილობით შეთანხმებას და წარმოადგენს წინამდებარე მემორანდუმის ნაწილს.

4.3. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

სსიპ- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი

მაია ჭიჭილეიშვილი

ააიპ "სითი ინსტიტუტი საქართველო"-ს დირექტორი

მამუკა სალუქვაძე